

**სანჯსხმ/საქრეღოთო ურთოიკრთობები
COVID19 კანდეზოინს პორობებში**

ქვევსა

თბოილინი 2021

სასესხო/საკრედიტო
ურთიერთობები
COVID19 პანდემიის პირობებში

კვლევა

ქ. თბილისი

კვლევაზე მუშაობდნენ:

ეკა ლომიძე

მარიკა არევაძე

სოფიო გონაშვილი

თარგმანი: ხათუნა გველესიანი

კვლევა მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაცია

„სამართლებრივი კვლევის, სწავლებისა და დახმარების ცენტრი“-ს მიერ.

გამოცემულია ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.



2021 წლის ოქტომბერი

ქ. თბილისი, საქართველო

შესავალი

წინამდებარე კვლევა მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლებრივი კვლევის, სწავლებისა და დახმარების ცენტრი“-ს მიერ ღია საზოგადოების ფონდი საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით, პროექტ „მსოფლიო პანდემიის ახალი COVID19 -ის გავრცელების გამო შემოსავლის/სამსახურის გარეშე ან/და მკვეთრად შემცირებული შემოსავლით დარჩენილ ფიზიკურ პირთა სამართლებრივი დახმარება/ადვოკატირება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ონლაინ საკრედიტო დაწესებულებების მიმართ შეუსრულებელი ვალდებულებების გამო“ ფარგლებში.

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლებრივი კვლევის, სწავლებისა და დახმარების ცენტრი“ შეიქმნა მოძრაობა „დააპაუზე უფასოდ“-ის ბაზაზე, რომელიც შექმნის დღიდან აქტიურად იბრძვის, რათა COVID19 ვირუსის მსოფლიო პანდემიად გამოცხადების და მისგან გამოწვეული ფინანსური პრობლემების მოგვარებაში დაეხმაროს საზოგადოების იმ ნაწილს, ვინც დარჩა სამსახურის და შემოსავლის გარეშე.

კვლევა ეფუძნება ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტების ფარგლებში მოპოვებულ ინფორმაციას და წერილობით დოკუმენტაციას. ამასთან, პერსონალური მონაცემების დაცვის შესაბამისად, კვლევაში წარმოდგენილია მონაცემები პირების იდენტიფიცირების გარეშე. კვლევა ეფუძნება პროექტის განხორციელების ფარგლებში როგორც ბენეფიციარების მიერ მოწოდებულ, ასევე საჯაროდ ხელმისაწვდომ, ორგანიზაციის მიერ სხვდასხვა გამსესხებელი სუბიექტებისგან წერილობითი მიმართვის საფუძველზე გამოთხოვილ ინფორმაციას და პანდემიის პერიოდში არსებულ საკანონმდებლო რეგულაციებს.

კვლევაში წარმოდგენილი ინფორმაცია ავთენტური და შესაბამისია მისი გამოცემის დროისათვის მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციებთან.

სესხები/კრედიტები პანდემიის პერიოდში

2020 წლის 26 თებერვალს საქართველოში დაფიქსირდა ახალი კორონავირუსის პირველი შემთხვევა. მალევე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა¹, რასაც მოჰყვა რიგი ღონისძიებების გატარება მთავრობის დადგენილების² ფარგლებში. მათ შორის - ჩაიკეტა საზღვრები, მასშტაბურად გაჩერდა დაწესებულებათა ფუნქციონირება და დაიწყო ონლაინ სერვისების დანერგვა. პარალელურად დაიხურა სავაჭრო ობიექტები, კაფე-ბარები, რესტორნები, როგორც შიდა ისე გარე სივრცეებში. ასევე, ნაწილობრივად აიკრძალა სასტუმრო მომსახურება. სახელმწიფო ორგანიზაციები აგრძელებდნენ შეზღუდულად და დისტანციურ რეჟიმში მუშაობას, აიკრძალა საქმიანობები, რაც უკავშირდებოდა მოქალაქეთა პირდაპირ კომუნიკაციას, ქვეყანაში შეიქმნა პირბადეების პრობლემა, დაწესდა მკაცრი რეგულაციები ტრანსპორტით გადაადგილებასთან დაკავშირებით, ჩაიკეტა კონკრეტულ რეგიონებში გადაადგილება, რამაც თავისთავად შექმნა მწვავე ფინანსური პრობლემები ქვეყნის მასშტაბით. შედეგად ქვეყანა ეტაპობრივად გადავიდა ცხოვრების განსხვავებულ რეჟიმზე. მეწარმეები, დასაქმებულები, თვითდასაქმებული ფიზიკური პირები კი დადგნენ შემოსავლების შემცირების ან სრულად დაკარგვის საფრთხის წინაშე, რაც თანმდევად იწვევდა მათი ვადამოსული ვალდებულებების შეუსრულებლობის საფრთხეს.

შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ორგანიზაციამ მიიჩნია, რომ ქვეყანაში იქმნებოდა ფორს-მაჟორული ვითარება და დაიწყო საზოგადოების ინფორმირება სამართლებრივ საკითხებზე, თუ რას ნიშნავდა ფორს-მაჟორი, როგორ მოქმედებდა ის სახელშეკრულებო ვალდებულებებზე და როგორ შეიძლებოდა მასზე დაყრდნობით ვადამოსული ვალდებულებების დაპაუზება. თუმცა პანდემიის დაწყებიდან მალევე საქართველოში მოქმედმა კომერციულმა ბანკებმა

¹ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის დეკრეტი N1

² საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის მთავრობის N181 დადგენილება

გამოაცხადეს, რომ პანდემიის პერიოდში, სამი თვით მსესხებლები, მათი სურვილისამებრ შეძლებდნენ ესარგებლათ საშელავათო პერიოდით და პირობებით. აღსანიშნავია, რომ საშელავათო პირობების გამოცხადების მომენტში არც თავად ბანკები არ იყვნენ ჩამოყალიბებული თუ რა ფორმით და რა პირობებით იქნებოდა შესაძლებელი შეღავათებით სარგებლობა. მიუხედავად ამისა, პროცესი მიმდინარეობდა თითქმის ავტომატურ რეჟიმში, რამაც გამოიწვია:

- საშელავათო პირობებით სარგებლობა ისე, რომ ნათელი არ იყო რას მოიცავდა საშელავათო პირობები;
- საშელავათო პირობები გავრცელდა ისეთ სესხებზე/კრედიტებზე, რომელთა ფარგლებშიც მსესხებლებს არ სურდათ აღნიშნული საშელავათო პირობებით სარგებლობა.

კომერციული ბანკების მიერ საშელავათო პირობების გამოცხადება ერთის მხრივ შეიძლება შეფასდეს, როგორც სოციალური პასუხისმგებლობის გამოვლინებად, რომელიც მიმართული იყო ხელშეკრულების დარღვევის გარეშე ვადამოსული ვალდებულებების შესრულების გადავადებაზე, თუმცა მეორეს მხრივ ეს ალტერნატიული შეთავაზება ასევე შეიძლება შეფასდეს, როგორც ბანკების მცდელობა, მოესპოთ ფორს-მაჟორულ გარემოებაზე დაყრდნობით ვალდებულებების დაპაუზების შესაძლებლობა. ვინაიდან ფორს-მაჟორზე დაყრდნობით ინდივიდუალური მიმართვების საფუძველზე შესაძლოა სესხების/კრედიტების გადავადება მომხდარიყო საპროცენტო სარგებლის დარიცხვის გარეშე.

ფორსირებულ რეჟიმში დაწესებული შეღავათებით, საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მიერ ორჯერ მოხდა საშელავათო პერიოდის გამოცხადება, პირველად 2020 წლის მარტის თვეში, ხოლო შემდეგ 2020 წლის ივნისში, როდესაც აღნიშნული პერიოდი გახანგრძლივდა კიდევ სამი თვით. 2020 წლის სექტემბრის თვიდან კი, ბანკების მიერ გაცხადებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით საშელავათო პირობებით სარგებლობის გაგრძელება მოხდებოდა მხოლოდ

ინდივიდუალური მიმართების განხილვის ფარგლებში და მათ მიერვე დადგენილი კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილებით.

საშეღვათო პერიოდში, ხდებოდა სესხებზე/კრედიტებზე ყოველთვიური შენატანის შეჩერება. თუმცა მას ერიცხებოდა გადავადების ყოველთვიური პროცენტი, რომელიც მსესხებელს:

- ან, საშეღვათო ვადის დასრულების შემდეგ, სესხზე/კრედიტზე პირველი გადახდის პარალელურად, დამატებით ერთიანად უნდა გადაეხადა,
- ან, დაგროვებული გადავადების პროცენტის დამატება უნდა მომხდარიყო სესხის/კრედიტის დარჩენილ პერიოდზე, ყოველთვიური გადანაწილებით.

პრაქტიკაში გამოვლენილი შემთხვევების ანალიზმა აჩვენა, რომ:

- რთული და რიგ შემთხვევებში შეუძლებელი აღმოჩნდა გადავადების პროცენტის მოცულობის ზუსტი დაანგარიშება;
- რიგ შემთხვევებში, საშეღვათო პერიოდის დასრულების შემდეგ ხდებოდა ახალი შეთანხმებების გაფორმება, რომლის საფუძველზეც გადავადების პროცენტი ემატებოდა სესხების/კრედიტების ძირ თანხებს (რაც მანამდე არ იყო მსესხებლებთან შეთანხმებული);
- ე.წ. მეორე საშეღვათო ვადა მასიურად გაავრცელეს თითქმის ყველა მსესხებელზე და მსესხებლები ვერ ახდენდნენ ამ საშეღვათო პირობებიდან სესხების/კრედიტების მოხსნას. აღნიშნულთან დაკავშირებით დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მსესხებლებს აღარ სურდათ საშეღვათო პერიოდით სარგებლობა და მათ განაახლეს ყოველთვიური შენატანები, თუმცა სესხები/კრედიტები იყო პროგრამულად გადავადებული და ყოველთვიური შენატანებიდან ხდებოდა გადავადების პროცენტების მოხსნა. აღნიშნული გამოწვეული იყო ორი ფაქტორით: პირველი - სმს შეტყობინებები არ აღმოჩნდა ინფორმირების საკმარისი ფორმა, ვინაიდან მსესხებლებმა არ/ვერ გააკონტროლეს სმს-ით მიღებული ინფორმაცია; მეორე - მიღებულ

ინფორმაციაზე სმს-ითვე უპასუხეს გადავადებაზე უარით, თუმცა აღნიშნული არ აისახა პროგრამულად. პროგრამული ხარვეზი კი ვერ გამოსწორდა ვერც ბანკებთან სატელეფონო თუ ადგილზე მისვლით კომუნიკაციის გზით.

განსაკუთრებული პრობლემები გამოვლინდა ე.წ. „საპენსიო სესხებზე“. სესხების ეს კატეგორია ისედაც ხასიათდებოდა მაღალი საპროცენტო სარგებლით და პენსიონერების ნაკლები ინფორმირებულობით, თუმცა საშეღავათო პერიოდის გავრცელებამ რიგ შემთხვევებში გამოიწვია - სესხების ნარჩენი ძირი თანხების მოცულობის გაზრდა, მსესხებლების ინფორმირების გარეშე. შესრულებული გადახდების მიუხედავად კი არ მცირდებოდა საბოლოოდ გადასახდელი თანხის მოცულობა და ხდებოდა საკრედიტო ხელშეკრულების ვადის გაზრდა. აღნიშნული პრობლემებით ორგანიზაციას დაუკავშირდა არაერთი მსესხებელი. ორგანიზაციის ჩართულობით რამდენიმე შემთხვევაში კი მოხდა კრედიტის მოცულობების კორექტირება რეალურ მოცულობებამდე და კრედიტის სახელშეკრულებო ვადის დაბრუნება შეთანხმებულ ვადამდე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში სესხების/კრედიტების გაცემა ხდება არა მხოლოდ კომერციული ბანკების, არამედ სხვა სუბიექტების მიერაც, როგორებიც არიან მაგალითად:

- მიკროსაფინანსო ორგანიზაციები;
- ონლაინ საკრედიტო დაწესებულებები;
- სალომბარდე დაწესებულებები;
- სესხის გამცემი სუბიექტები;
- კერძო პირები.

ყველა ზემოხსენებული სუბიექტის მიერ, სესხების გაცემა პანდემიამდე პერიოდშიც ხდებოდა იმაზე მაღალი საპროცენტო სარგებლის გათვალისწინებით, ვიდრე კომერციული ბანკების შემთხვევაში. ამასთან, ასეთი სესხებით სარგებლობენ შედარებით უფრო მოწყვლადი ჯგუფები.

მათი უმრავლესობა კი პანდემიის პერიოდში დარჩა შემოსავლის გარეშე, ან მკვეთრად შემცირებული შემოსავლით. ამასთან, ამ ტიპის სესხების გამცემი სუბიექტების უმრავლესობას არ გამოუცხადებიათ საშელავათო პერიოდი, მაშინ როდესაც სწორედ მათ მომხმარებლებს/მსესხებლებს ედგათ ვალდებულებების გადავადების განსაკუთრებული საჭიროება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ პანდემიის პერიოდში მოხდა მსესხებლების ინდივიდუალური მიმართვების განხილვა და ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღებით სესხების გადავადება. არაერთგვაროვანმა მიდგომამ და ერთიანი სისტემის არ ქონამ კი, კიდევ უფრო მეტად დაამძიმა მსესხებლების ფინანსური მდგომარეობა.

დღეის მდგომარეობით, მიუხედავად გართულებული ეპიდ ვითარებისა და ხელახალი შეფერხებებისა, სესხის გამცემი სუბიექტები, მათ შორის კომერციული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები შემოსავლის გარეშე დარჩენილი პირების მიმართ იწყებენ სასამართლო დავებს ან/და აღსრულების პროცედურებს. დავების ფარგლებში ამ ტიპის სუბიექტების მიერ არ ხდება ისეთი გარემოების გათვალისწინება, როგორც არის პანდემიის მიზეზით გამოწვეული უმუშევრობა.

პანდემიის პირობებში დადგენილი საკანონმდებლო რეგულაციები, სუბსიდირების სახელმწიფო პროგრამები, საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები

საბანკო და მიკროსაფინანსო სექტორში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა სასესხო/საკრედიტო ვალდებულებების წილი 2020 წლის იანვრისთვის წარმოადგენდა საკმაოდ დიდ მაჩვენებელს, ამდენად მოქალაქეების უმრავლესობა აღმოჩნდა განსაკუთრებით რთულ ვითარებაში, ვინაიდან პანდემიით შექმნილი ვითარების გამო დარჩნენ შემოსავლების გარეშე, ან მკვეთრად შემცირებული შემოსავლით და პარალელურად შესასრულებელი ჰქონდათ ყოველთვიური სასესხო/საკრედიტო ვალდებულებები. აღნიშნული განსაკუთრებით ამძიმებდა ვითარებას, როდესაც ე.წ. “სახლში დარჩენის” პირობებში ადამიანებს ფინანსები სჭირდებოდათ საკვებისა და კომუნალური სერვისების უზრუნველსაყოფად. ყოველივეს გათვალისწინებით კი მათმა დიდმა ნაწილმა ვერ შეძლო საბანკო/საკრედიტო ვალდებულებების შესრულების გაგრძელება.

აღსანიშნავია, რომ კოვიდ პანდემიის მართვის მიზნით დაწესებული შეზღუდვების პარალელურად, იმის ფონზე, რომ ქვეყანაში უამრავი ფიზიკური პირი დარჩა შემოსავლის გარეშე, საქართველოს მთავრობის მიერ ამოქმედდა დახმარების პროგრამა³, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრა შემოსავლის გარეშე დარჩენილი ფიზიკური პირების დახმარება ფულადი ფორმით. დახმარების ოდენობად კი განისაზღვრა თვეში 200 ლარი (არაუმეტეს ექვსი თვის პერიოდზე) ან ერთჯერადი 300 ლარი. ასევე დაწესდა შეღავათები კომუნალურ გადასახადებზე. თუმცა სახელმწიფოს მიერ დამტკიცებულ გეგმაში არ მოხვდა საბანკო სექტორისთვის გაწერილი სავალდებულო ან შესასრულებლად სავალდებულო სარეკომენდაციო რეგულაციები.

³ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 04 მაისის მთავრობის N286 დადგენილება

სახელმწიფომ მხოლოდ საბანკო სექტორისთვის და ისიც მხოლოდ სარეკომენდაციო მითითების ფორმით, ყოველგვარი სავალდებულოდ შესასრულებელი წესების დადგენის გარეშე გააჟღერა მოწოდება, რომ მომხდარიყო კრედიტების გადავადება. აღნიშნული შეიძლება შეფასდეს არასაკმარის მოქმედებად, ვინაიდან ერთის მხრივ კრედიტების გადავადება და გადავადების პირობების დადგენა დამოკიდებული გახდა საბანკო სუბიექტებზე, ხოლო მეორეს მხრივ ყველა სხვა სესხის გამცემი სუბიექტი (მაგ. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ონლაინ საკრედიტო დაწესებულება და სხვა) დარჩა მათ შორის სარეკომენდაციო მითითების მიღმა. შესაბამისად, გამოიკვეთა, რომ სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული ფინანსური დახმარება/შელავათი არ იყო მიმართული მსესხებლებისათვის პანდემიურ და პოსტპანდემიურ პერიოდში სესხების/კრედიტების ტვირთის შემსუბუქებაზე. ამ მხრივ სახელმწიფოს არ მოუხდენია რაიმე ქმედითი ღონისძიების გატარება.

სესხების/კრედიტების კუთხით სახელმწიფოს მხრიდან შემუშავდა სამი პროგრამა: ღონისძიებების ორგანიზატორთა სუბსიდირების, სპორტული ობიექტებისა და საბავშვო ბაღების ხელშეწყობისთვის სუბსიდირების და იპოთეკური სესხების სუბსიდირების პროგრამა. თუმცა ამ პროგრამებმა ვერ დაფარა ფიზიკური პირების სესხების/კრედიტების პრობლემა, მაშინ როდესაც მსესხებლების მხრიდან ვალდებულებები ვეღარ სრულდებოდა მათგან დამოუკიდებელი და მოულოდნელად აღმოცენებული კოვიდ პანდემიის მიზეზით. რაც შეეხება უშუალოდ, ზემოხსენებულ პროგრამებს:

- **ღონისძიებების ორგანიზატორთა სუბსიდირების პროგრამა⁴.** დადგენილების განმარტებით, პროგრამის მიზანს წარმოადგენდა პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური სირთულეებიდან გამომდინარე ნებისმიერი ტიპის ღონისძიებების ორგანიზების სფეროში მოქმედი იმ მეწარმე სუბიექტების მიერ კომერციულ ბანკში აღებული სესხების სუბსიდირება, რომელთაც პანდემიის გამო შეეზღუდათ საქმიანობა და

⁴ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 ნოემბერის მთავრობის N678 დადგენილება

შესაბამისად მიღებული შემოსავალი. პროგრამის ფარგლებში სუბსიდირებას ექვემდებარებოდა მხოლოდ იურიდიული პირების სესხები, რომელიც გაცემული იყო 2020 წლის 01 მარტამდე და რომელთა სესხის თანხის 80% მოხმარდა პროფილით საქმიანობისათვის საჭირო ძირითადი საშუალებების შეძენას და აღნიშნული დასტურდებოდა დოკუმენტურად. სუბსიდირება ხდებოდა 12 თვის საპროცენტო სარგებლის ფარგლებში.

- **სპორტული ობიექტებისა და საბავშვო ბაღების ხელშეწყობისთვის სუბსიდირების პროგრამა⁵.** დადგენილების განმარტებით, პროგრამის მიზანს წარმოადგენდა პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური სირთულეებიდან გამომდინარე, სპორტული ობიექტებისა და საბავშვო ბაღების სფეროში მოქმედი იმ მეწარმე სუბიექტების მიერ კომერციულ ბანკში/მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში/ლიზინგის გამცემთან აღებული/შეთანხმებული სესხების/მიკროსესხების/სალიზინგო პროექტის სუბსიდირება, რომელთაც პანდემიის გამო შეეზღუდათ ოპერირების შესაძლებლობა და, შესაბამისად, შეუმცირდათ მიღებული შემოსავალი. დადგენილების შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც ფიზიკური პირი მეწარმე სუბიექტი, ასევე იურიდიული პირი. სუბსიდირებას ექვემდებარებოდა მხოლოდ ის სესხები, რომელთა სესხის თანხის 80% მოხმარდა პროფილით საქმიანობისათვის საჭირო ძირითადი საშუალებების შეძენას და აღნიშნული დასტურდებოდა დოკუმენტურად. სუბსიდირებას ექვემდებარებოდა 2020 წლის 01 მარტამდე გაცემული სესხები, ნარჩენი ძირითადი თანხის მომდევნო 6 თვის საპროცენტო სარგებლის 70-80%-ის ფარგლებში.
- **იპოთეკური სესხების სუბსიდირების პროგრამა⁶.** დადგენილების განმარტებით, პროგრამის მიზანს წარმოადგენდა დეველოპერულ

⁵ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის მთავრობის N50 დადგენილება

⁶ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 ივნისის მთავრობის N387 დადგენილება

სექტორში ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური სირთულეების დაძლევა, უძრავ ქონებაზე წვდომის გაუმჯობესება იმ ფიზიკური პირებისათვის, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა, დააკმაყოფილონ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები (სრულად ან ნაწილობრივ), ეკონომიკური გაჯანსაღების ხელშეწყობა და უძრავ ქონებაზე მოთხოვნის სტიმულირება სხვადასხვა კომპონენტის მეშვეობით. პროგრამა მოიცავდა ორ კომპონენტს: სუბსიდირების კომპონენტს, კერძოდ იპოთეკურ კრედიტზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებას არაუმეტეს 60 თვის ვადით და საგარანტიო კომპონენტს. პროგრამა გავრცელდებოდა ფიზიკურის პირების იმ კრედიტებზე, რომლებიც დადგენილების ამოქმედების შემდგომ შეიძენდნენ ახალ ბინას დეველოპერული კომპანიისგან. აღსანიშნავია, რომ იმ პირობებში, როდესაც პანდემიამ გამოიწვია არაერთი უკვე არსებული სესხის/კრედიტის გაპრობლემება, რამდენად იყო ახალი კრედიტების წახალისების და სახელმწიფო ფინანსების ამ მიმართულებით ხარჯვის საჭიროება.

მართალია ბიზნესის მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოსა და საბანკო სექტორის მხრიდანაც, თუმცა იგივე პირთაგან ფიზიკური პირების ფინანსური მხარდაჭერა ნაკლებად გამოიკვეთა, გარდა ცალკეული შემთხვევებისა. საბანკო სექტორის მხრიდან საპროცენტო განაკვეთის არც დაწევა, არც პროცენტის შეჩერება არ მომხდარა. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ გადავადების სრული ვადების ამოწურვისთანავე ადამიანებს აღუდგათ გადახდების ვალდებულება, გაზრდილი პროცენტებით. ბევრი მათგანი გახლავთ პანდემიის გავრცელების შედეგად კვლავ უმუშევარი ან შემოსავალდაკარგული, რომელთა დიდი ნაწილის ქონება იყო დატვირთული იპოთეკით, ნაწილს დაუყადარდა ანგარიშები აღებული სასესხო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად და ემუქრებათ უძრავი ქონების რეალიზაცია.

კოვიდ პანდემიის ფარგლებში სახელმწიფოს მხრიდან შეჩერდა ზოგიერთი სააღსრულებო მოქმედება, კერძოდ 2020 წლის 23 მარტის მთავრობის 181-ე დადგენილების მე-12 მუხლით თავდაპირველად შეიზღუდა აღსრულების ეროვნული ბიუროს შემდეგი საქმიანობა (მათ შორის და არა მხოლოდ) - სხვისი მფლობელობიდან ან/და სარგებლობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის საქმეებზე დანიშნული სააღსრულებო მოქმედებები (იგივე გამოსახლება); მოვალისთვის ვალის გადახდევინება: ქონებაზე ყადაღის დადებით და ქონების გაყიდვით და სხვა. 30 მარტს კი აღნიშნულ დადგენილებაში შევიდა ცვლილება⁷ და მე-12 მუხლი სრულად იქნა ამოღებული, აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობის ფარგლების განსაზღვრის უფლებამოსილება კი მიენიჭა იუსტიციის მინისტრს. 2020 წლის 6 აპრილს გამოიცა იუსტიციის მინისტრის ბრძანება⁸, რომლითაც სააღსრულებო საქმიანობა გადავიდა ელექტრონულ საქმიანობაზე, აღდგა მთავრობის დადგენილებით შეჩერებული საქმიანობის დიდი ნაწილი, თუმცა შეჩერებული დარჩა საქმიანობა ე.წ. გამოსახლების ნაწილში. გამოსახლებების პროცესი დღემდე შეჩერებულია⁹.

წინამდებარე კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა, პანდემიის პირობებში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ მომხმარებელთა/მსესხებელთა მიმართ განხორციელებული ქმედებების გამოკვლევა და სწორედ ამ მიზნით 2021 წლის სექტემბრის თვეში წერილობითი ფორმით მივმართეთ საქართველოში მოქმედ რამდენიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაციას (მოგო, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალი და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი).

აღნიშნულ ორგანიზაციებს დაესვათ შემდეგი შინაარსის კითხვები:
2020 წლის 21 მარტიდან დღემდე:

⁷ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 მარტის მთავრობის N204 დადგენილება

⁸ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 6 აპრილის ბრძანება N515

⁹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 15 ივლისის ბრძანება N582.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილება

- რამდენ ფიზიკურ პირს გადაუვადდა ყოველთვიურად გადასახდელი პროცენტი ძირ თანხასთან ერთად პანდემიით გამოწვეული ფინანსური კრიზისის გამო ავტომატურად და რა ვადით ?
- რამდენმა ფიზიკურმა პირმა მოგმართათ ყოველთვიური გადასახდელის გადახდის გადავადებით პანდემიის გამო, აქედან რამდენს გადაუვადდა პროცენტი ძირ თანხასთან ერთად ?
- პანდემიის განმავლობაში 6 თვიანი საშეღვათო პერიოდის გამოყენებით რამდენ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ჩამოეწერა საშეღვათო პერიოდში დარიცხული პროცენტი ?
- რამდენი პირის მიმართ დაიწყო ორგანიზაციამ პრობლემური სესხის გამო საქმის წარმოება სასამართლოში ან საქართველოს აღსრულების ეროვნულ ბიუროში გამარტივებული საქმის წარმოების ფარგლებში ?
- რამდენი უძრავი და მოძრავი ქონება/ავტომობილი, ანგარიში იქნა დაყადაღებული გადაუხდელი ვალდებულების გამო ?
- რამდენი მოძრავი ქონება/ავტომობილი იქნა ჩამორთმეული გადაუხდელი ვალდებულების გამო ?

მიუხედავად იმისა, რომ სატელეფონო საუბრისას ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციებისგან მივიღეთ დასტური იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენს მიმართვაზე მოხდებოდა რეაგირება, სამწუხაროდ, ორგანიზაციების მხრიდან გამოიკვეთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულება და ნაწილმა უარი განაცხადა ინფორმაციის მოწოდებაზე, ნაწილმა კი საერთოდ არ მოახდინა გამოხმაურება.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან ერთად, კვლევის საგანს წარმოადგენდა კომერციული ბანკების მიერ კორონა ვირუსისგან გამოწვეული პანდემიის პერიოდში, მსესხებელბის მიმართ განხორციელებული ქმედებების შესწავლა, შესაბამისად, მათი ქმედებების გამოკვლევის მიზნით წერილობითი ფორმით მივმართეთ სს „საქართველოს ბანკ“-ს, სს „თიბისი ბანკ“-ს და სს „ლიბერთი ბანკ“-ს.

აღსანიშნავია, რომ სს „საქართველოს ბანკს“ და სს „თიბისი ბანკს“ დაესვათ იდენტური შეკითხვები, იმ პრობლემურ საკითხებზე, რომლებიც გამოვლინდა ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში ბენეფიციართა მომართვიანობიდან. რაც შეეხება ლიბერთი ბანკს, ამ შემთხვევაში ბანკის მხრიდან პანდემიის პირობებში განხორციელებული ქმედებები უფრო მძიმე აღმოჩნდა მსესხებლებისთვის, ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ლიბერთი ბანკის მსესხებლებს ძირითად შემთხვევაში საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლები - პენსიონერები და სოციალურად დაუცველი პირები წარმოადგენენ, შესაბამისად კვლევის სიზუსტისთვის საჭირო გახდა, რომ ლიბერთი ბანკისთვის მომხდარიყო განსხვავებული შეკითხვების დასმა.

საქართველოს და თიბისი ბანკის შემთხვევაში ჩვენი მხრიდან დასმული იქნა შემდეგი სახის შეკითხვები:

2020 წლის 21 მარტიდან დღემდე:

- პანდემიის განმავლობაში 6 თვიანი საშეღვათო პერიოდის გამოყენებით რამდენ ფიზიკურ პირს გადაუვადდა სესხი/კრედიტი ?
- პანდემიის განმავლობაში 6 თვიანი საშეღვათო პერიოდის გამოყენებით რამდენ ფიზიკურ პირს ჩამოეწერა საშეღვათო პერიოდში დარიცხული პროცენტი ?
- საშეღვათო პერიოდის გამოყენების შემდგომ, მსესხებლის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, უკვე არსებული ვალდებულების შესრულების მიზნით, რამდენ შემთხვევაში მოხდა ახალი საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმება, რომლითაც გაიზარდა კრედიტის მოცულობა და ვალდებულების ჩაფარვის პერიოდი ?
- 2020 წლის მარტის თვიდან დღემდე, რამდენი პირის მიმართ დაიწყო საქართველოს ბანკმა / თიბისი ბანკმა პრობლემური სესხის გამო საქმის წარმოება სასამართლოში ან საქართველოს აღსრულების ეროვნულ ბიუროში გამარტივებული საქმის წარმოების ფარგლებში ?

ზემოთ აღნიშნული მიმართვების პასუხად, 2021 წლის 14 სექტემბერს სს „საქართველოს ბანკი“-ის მიერ გვეცნობა, რომ წერილით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის ვალდებულება ბანკს არ გააჩნდა. რაც შეეხება სს „თიბისი ბანკს“, სამწუხაროდ, სს, „თიბისი ბანკის“ მხრიდან დღემდე არ მომხდარა გაგზავნილ მიმართვაზე რეაგირება.

ლიბერთი ბანკის შემთხვევაში, მოგახსენებთ, რომ პროექტის ფარგლებში მომმართველი ბენეფიციარების ძირითადი ნაწილს პენსიონერები და სოციალურად დაუცველი პირები წარმოადგენდნენ. არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდგომ ვლინდებოდა, რომ ბანკი რიგ შემთხვევებში ისე ახდენდა ვალდებულების გადავადებას (საშელავათო პერიოდის გამოყენებას), რომ ამის შესახებ ინფორმაციას არ აწვდიდა მსესხებლებს. ასევე, 3-6 თვიანი გადავადების პირობებში, ბანკის მხრიდან დაახლოებით 2 000 - 3 000 ლარის ვალდებულების დაფარვის თარიღი ორიდან ოთხ წლამდე იაზრებოდა. აღნიშვნის ღირსია, ბანკის მხრიდან ვალდებულების ძირი თანხის გაზრდის ფაქტები, რომელიც პროექტის განმავლობაში არაერთხელ შეგვხვდა, თუმცა დასმულ შეკითხვაზე, თუ რა სამართლებრივი საფუძვლით მოხდა ძირი თანხის გაზრდა - ბანკს პასუხი არ გაუცია. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბანკის მხრიდან საშელავათო პერიოდის გამოყენებით სესხზე/კრედიტზე დარიცხული პროცენტი რიგ შემთხვევებში თითქმის უტოლდებოდა ძირი თანხის მოცულობას. შესაბამისად, მსესხებლების უმეტესობას ფაქტობრივად უწევთ ორმაგი თანხის დაბრუნება. აქვე, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღსანიშნია, რომ ამ შემთხვევაში საუბარია პენსიონერებსა და სოციალურად დაუცველ პირებზე. პენსიონერების შემთხვევაში კი ყურადსაღებია ის გარემოება, რომ პენსიების გაცემა არ შეფერხებულა პანდემიის პერიოდში, შესაბამისად ამ კატეგორიის სესხებს არ ჰქონდათ ან ნაკლებად სესხების/კრედიტების გადავადების საჭიროება. გასაგებია, რომ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი თავად განსაზღვრავენ თუ რა პირობებით უნდა დადონ ხელშეკრულება, თუმცა მაშინ, როდესაც საქმე ეხება საზოგადოების ყველაზე მოწყვლად ფენას,

ვფიქრობთ პანდემიურ პერიოდში ბანკის მხრიდან განხორციელებული ქმედებები მაღალი ალბათობით სცდება კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპის ფარგლებს.

მეტი ინფორმაციის მიღებისა და ამგვარი მიდგომის სტატისტიკის გამოვლენის მიზნით დამატებითი კითხვებით მივმართეთ ლიბერთი ბანკს და ვთხოვეთ შემდეგი ინფორმაციის მოწოდება:

2020 წლის მარტის თვიდან დღემდე:

- საქართველოში არსებული კოვიდ პანდემიიდან გამომდინარე, 2020 წლის თებერვლის თვიდან დღემდე, რამდენმა პენსიონერმა ისარგებლა საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული საშელავათო პერიოდის გამოყენებით ? გთხოვთ, მომაწოდოთ ე.წ. პირველი და მეორე საშელავათო პერიოდის გამოყენების სტატისტიკური მონაცემები;
- საშელავათო პერიოდის გამოყენებით, მოხდა თუ არა საპენსიო სესხებზე/კრედიტებზე დამატებით პროცენტის სახით თანხის დარიცხვა ? თუ მოხდა გთხოვთ მომაწოდოთ დარიცხული პროცენტის გაანგარიშების ფორმულა.
- საშელავათო პერიოდის გამოყენების შედეგად დარიცხული პროცენტი, როგორ გადანაწილდა სესხის/კრედიტის დარჩენილ პერიოდზე ?
- საშელავათო პერიოდის გამოყენებით, მოხდა თუ არა საპენსიო სესხების ძირ თანხაზე დამატებით თანხის დარიცხვა ? ასეთის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია რამდენ ადამიანს გაეზარდა ძირი თანხის მოცულობა და ასევე, გთხოვთ მიმითითოთ კონკრეტული სამართლებრივი საფუძველი, რომლის შესაბამისადაც მოხდა სესხის/კრედიტის ძირი თანხის გაზრდა.
- საშელავათო პერიოდის გამოყენებით, სესხზე/კრედიტზე დარიცხული პროცენტისა და ძირი თანხის დამატებით, მოხდა თუ არა საპენსიო სესხებზე გადახდის პერიოდის გაზრდა, თუ მოხდა გთხოვთ მიმითითოთ დაახლოებით რა ვადით გაიზარდა სესხის გადახდის პერიოდი ?

მიუხედავად იმისა, რომ მიმართვაში არსად არ იყო მითითებული და მოთხოვნილი კონკრეტული პროცენტების შესახებ ინფორმაცია, სამწუხაროდ, ბანკმა უარი განაცხადა ინფორმაციის მოწოდებაზე, ვინაიდან დაინახა პერსონალური ინფორმაციის გაცემის საფრთხე. 2021 წლის 16 სექტემბერს, კვლავ მივმართეთ სს „ლიბერთი ბანკ“-ს და განვუმარტეთ, რომ ჩვენს მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია არ იყო პერსონალური მონაცემების შემცველი და შესაბამისად ექვემდებარებოდა ბანკის მხრიდან მოწოდებას. თუმცა ბანკის მხრიდან განმეორებითი მიმართვა დარჩა რეაგირების გარეშე, უპასუხოდ.

მიკროსაფინანსო/საკრედიტო დაწესებულებები და კომერციული ბანკები უმეტეს შემთხვევაში რეაგირების გარეშე ტოვებენ და თავს არიდებენ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემას, შესაბამისად, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას ამ მხრივ მკითხველს მივაწოდოთ ინფორმაცია, თუ რა მოქმედებები განხორციელდა პანდემიის დაწყების დღიდან დღემდე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და კომერციული ბანკების მხრიდან მსესხებლებისათვის ან/და მათ მიერ განხორციელებული ქმედებები მოდის თუ არა შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან, სამართლიანობის, გულისხმიერებისა და კეთილსინდისიერების პრინციპთან.

მიუხედავად წლის განმავლობაში არსებული ნეგატიური მოლოდინებისა, 2020 წელს საბანკო სექტორმა წელი მოგებით დაასრულა, მოგებამ 99.26 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნული მიუთითებს, რომ საბანკო სექტორისთვის არ აღმოჩნდა ისეთი რთული კორონავირუსის შედეგად მიყენებული ზიანი, როგორც ეს აღმოჩნდა თითოეული მოქალაქისთვის, რომელმაც დაკარგა სამსახური ან საგრძნობლად შეუმცირდა შემოსავალი.¹⁰ საგულისხმოა, რომ 2021 წლისთვის საბანკო/მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართ ვადაგადაცილებული სესხები უფიქსირდებოდა ნახევარ მილონზე მეტ ადამიანს საქართველოში.

¹⁰ <https://bm.ge/ka/article/sabanko-seqtoris-2020-weli---luka-miminoshvilis-blogi/75402>

საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკს გარკვეული საზედამხედველო ფუნქცია გააჩნია საქართველოში მოქმედ საფინანსო სექტორის მიმართ. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას პანდემიის პირობებში ხელს უწყობდა საბანკო სექტორს, გარკვეულწილად არასაბანკო დაწესებულებებს, რომ მათ მიერ მაქსიმალურად ყოფილიყო შესაძლებელი ზარალის თავიდან აცილება და ამასთან გათვალისწინებული ყოფილიყო იმ მომხმარებელთა ფინანსური მდგომარეობა, რომლებმაც COVID19-ის გავრცელების, საქართველოში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდგომ დაკარგეს შემოსავალი ან მნიშვნელოვნად შეუმცირდა იგი. ახალი საზედამხედველო მოთხოვნების შემუშავებასა და დაწესებაზე გამოცხადდა დროებითი მორატორიუმი, რათა არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ ბანკებს საშუალება ჰქონოდათ რესურსების მაქსიმალური მობილიზება მოეხდინათ. ეროვნულმა ბანკმა შეაჩერა ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების ადგილზე შემოწმება. გამარტივდა დაკრედიტების პროცედურები, რის მიხედვითაც დროებით არ მოითხოვებოდა უძრავი ქონების შეფასება ადგილზე მისვლის გზით. შერბილდა მოთხოვნა ფინანსური უწყისების განახლებასთან დაკავშირებით. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვნად შეარბილა საზედამხედველო მოთხოვნებიც, რათა მოქალაქეებისათვის ვალდებულებათა გადავადების პროცესში ბანკებს მაქსიმალური მოქნილობა ჰქონოდათ.¹¹

მიუხედავად აღნიშნულისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან არ ვრცელდებოდა აქტიური მოწოდებები საფინანსო სექტორის მიმართ, რომ მათ გაეთვალისწინებინათ პანდემიის შედეგად პირდაპირ დაზარალებულ მსესხებელთა არსებული მძიმე ფინანსური მდგომარეობა. ასევე აღსანიშნავია, რომ ნაკლები შედეგი გამოჰქონდა

¹¹ <https://nbg.gov.ge/page/covid-19>

საქართველოს ეროვნული ბანკისადმი მოქალაქეთა წერილობით მიმართვებს. ძირითადად საქართველოს ეროვნული ბანკი ვერ ახდენდა მოქალაქეთა დახმარებას და მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის წერილებით შემოიფარგლებოდა.

მსესხებლები პანდემიის დაწყებიდან დღემდე აქტიურად მომართავდნენ კვლევის განმახორციელებელ ორგანიზაციას (სამართლებრივი კვლევის, სწავლებისა და დახმარების ცენტრს) სამართლებრივი დახმარებისთვის. მომმართველების დიდ ნაწილს დოკუმენტურად უდასტურებოდათ, რომ სწორედ საქართველოში პანდემიის გავრცელების და მთავრობის მიერ შემოდებული აკრძალვა/შეზღუდვების საფუძველზე ვეღარ შეძლეს ფინანსური ვალდებულებების შესრულება და გახდნენ სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებნი. მიუხედავად აღნიშნულისა საბანკო სექტორის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მხრიდან, ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საჯარიმო სანქციების, პროცენტების დარიცხვას იმ გადავადებული პერიოდისთვის, რასაც ნებაყოფლობით ახორციელებდნენ საბანკო დაწესებულებები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები.

ორგანიზაციის შეფასებით, კოვიდ პანდემიის დასაწყისში, საგანგებო მდგომარეობის პირობებში შესაძლებელი იყო საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის მეტი თანამშრომლობით, რეალური შეღავათების დადგენა: მაგალითად, საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, დროებით გაჩერებულიყო პანდემიის მიზეზით გაპრობლემებურ სესხებზე/კრედიტებზე ვადაგადაცილებისათვის საურავების/ჯარიმების დაკისრება, ხოლო გადავადების შემთხვევაში გადავადებულ თვეებზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა. აღნიშნული რეგულაცია, იქნებოდა ეფექტური გზა, რათა გადავადებული პერიოდის გასვლის შემდეგ პანდემიის შედეგად დაზარალებულ მსესხებლებს გაეგრძელებინათ გადახდა იმავე გრაფიკით, რაც მათ ჰქონდათ პანდემიამდე და არა დაკისრებული ჯარიმით და სესხის ძირ თანხებზე დარიცხული პროცენტდანამატებით, რამაც საბოლოო ჯამში გაზარდა ინდივიდუალური

სესხების მოცულობა, ვადა და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელი გახდა მის გადახდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ფინანსური სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2011 წელს შეიქმნა მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილება. განყოფილების საქმიანობას წარმოადგენს ფინანსური სექტორისთვის ამ მიმართულებით არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების აღსრულების მონიტორინგი. ასევე, საფინანსო სექტორში მომხმარებლის უფლებების დაცვის პრაქტიკის გაუმჯობესება. ასევე, განყოფილების ერთ-ერთი ფუნქციაა მომხმარებლისაგან პრეტენზიების მიღება, განხილვა და შესაბამისი რეაგირება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამდენად, არსებითად მნიშვნელოვანი გახლდათ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით არსებული დეპარტამენტის მეტი აქტიურობა, ვინაიდან სხვადასხვა შემთხვევებში კონკრეტული საბანკო დაწესებულებების მხრიდან სასესხო ვალდებულების გადავადება განხორციელდა თვითნებურად და არ იქნა სათანადოდ ახსნილი, თუ რას მოიცავდა ვალდებულების გადავადება, ხდებოდა თუ არა პროცენტის დარიცხვა, ხომ არ გაიზრდებოდა სესხის ძირითანხის მოცულობა, ყოველთიურად შესატანი თანხის ოდენობა და ა.შ. აღნიშნულ საკითხებზე მომართვიანობა განსაკუთრებით ჭარბობდა იმ კომერციულ ბანკთან მიმართებაში, რომლის მსესხებელთა კატეგორია განეკუთვნება ხანდაზმული ასაკის პირებს და მათი მხრიდან შეუძლებელი გახლდათ გამოგზავნილი სმს შეტყობინების სწორად გაანალიზება. მით უფრო იმ პირობებებში, როდესაც საქართველოს ხელისუფლების მიერ პანდემიის გავრცელების და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პერიოდში სავალდებულო ხასიათის რეკომენდაცია გახლდათ ხანდაზმული ასაკის პირების გადაადგილების შეზღუდვა. ასევე შეზღუდული გახლდათ ტრანსპორტით გადაადგილება და მთელი რიგი გარეშე ფაქტორები არსებობდა, რაც მსესხებელთა მოცემულ კატეგორიას

აიძულებდა სახლში დარჩენას. ამდენად, ეროვნული ბანკის როლი უნდა ყოფილიყო მეტად აქტიური, რომ მსგავსი შემთხვევები არ გვექონოდა და კომერციული ბანკების მხრიდან შეთავაზებული გადავადების პირობები ყოფილიყო გასაგებად მიწოდებული მომხმარებელთათვის.

გამომდინარე იქიდან, რომ კვლევის მთავარ ობიექტებს საბანკო/საკრედიტო დაწესებულებები და მათი მხრიდან მსესხებლების მიმართ პანდემიის პერიოდისში განხორციელებული ქმედებები წარმოადგენდა, მნიშვნელოვნად მივიჩინეთ კვლევის ფარგლებში საქართველოს ეროვნული ბანკიდან გამოგვეთხოვა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- საქართველოში კოვიდ პანდემიის დაწყების შემდგომ, სასესხო/საკრედიტო ვალდებულებების შესრულების ნაწილში, რა ღონისძიებები და რეკომენდაციები იქნა გაცემული საბანკო/ონლაინ საკრედიტო/მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან და ზემოთ აღნიშნულთან ერთად, კონკრეტულად რომელ სესხის/კრედიტის გამცემ ორგანიზაციაზე გაიცა ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი რეკომენდაციები ;
- საქართველოში კოვიდ პანდემიის დაწყების შემდგომ, რამდენმა ადამიანმა მომართა საქართველოს ეროვნულ ბანკს არსებული სასესხო/საკრედიტო ვალდებულებებზე ბანკებთან/მიკროსაფინანსო თუ ონლაინ საკრედიტო ორგანიზაციებთან გადავადების შუამდგომლობის მოთხოვნით, აქედან, რამდენ მომმართველზე მოხდა საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან რეაგირება და რეაგირების შემთხვევაში რა კონკრეტული შედეგით დასრულდა არსებული პრობლემა ;

2021 წლის 14 სექტემბრის, საქართველოს ეროვნული ბანკის პასუხის შესაბამისად:

- ახალი კორონა ვირუსით გამოწვეული პანდემიის დაწყებიდანვე კომერციული ბანკები აქტიურად სთავაზობდნენ სესხების/კრედიტების გადავადებას/რესტრუქტურისაციას იმ მსესხებლებს, რომლებსაც

პრობლემები შეექმნათ სესხის/კრედიტის მომსახურებასთან დაკავშირებით. აღნიშნული პროცესი მიმდინარეობდა საქართველოს ეროვნული ბანკის ხელშეწყობით, რაც გულისხმობდა აღნიშნული სესხების/კრედიტების შესაძლო დანაკარგების დამატებით რეზერვების განსხვავებული წესით შექმნას;

- პირველი გადავადების (2020 წლის მარტი-ივნისი) დროს, მიკრო სესხების პორტფელის შემთხვევაში გადავადება განხორციელდა 119 199 სესხზე, საიდანაც სესხის ჯამური მოცულობა იყო 1 989 080 211 ლარი, ხოლო პროცენტის, წილი შესაბამის პორტფელში - 53 %. საცალო პროდუქტების შემთხვევაში, ჯამში გადავადებული სესხების რაოდენობა წარმოადგენდა - 1 670 160, გადავადებული სესხის მოცულობა - 9 691 948 408 ლარს, ხოლო პროცენტის, წილი შესაბამის პორტფელში -74 %;
- მეორე (2020 წლის ივლისი-ნოემბერი) და მესამე (2020 წლის დეკემბერი - 2021 წლის ივნისი) ფაზების პერიოდში სესხებს/კრედიტების გადავადება, უმეტესწილად განხორციელდა ინდივიდუალურად უშუალოდ მსესხებლების გადახდისუნარიანობის შესაძლებლობიდან გამომდინარე. შესაბამისად, მეორე და მესამე ფაზის დროს გადავადებული პორტფელის მოცულობა შედარებით მცირეა ვიდრე პირველი ფაზის შემთხვევაში;
- 2021 წლის 30 აგვისტოს მონაცემების მიხედვით, 2021 წელს მიკრო სესხების პორტფელის შემთხვევაში გადავადება განხორციელდა 1 830 სესხზე, საიდანაც სესხის ჯამური მოცულობა იყო 118 484 534 ლარი, ხოლო პროცენტის წილი შესაბამის პორტფელში - 3 %. საცალო პროდუქტების შემთხვევაში, ჯამში გადავადებული სესხების რაოდენობა წარმოადგენდა 14 562, გადავადებული სესხის მოცულობა - 454 372 074 ლარი, ხოლო პროცენტი, წილი შესაბამის პორტფელში -3 %;

მიღებულ პასუხში ეროვნული ბანკი ასევე განმარტავს, რომ ვინაიდან კორონა ვირუსის განვითარების დინამიკა უცნობია, ეროვნული ბანკი არ გამორიცხვას საჭირო გახდეს სესხების/კრედიტების გადავადების

შემდგომი ფაზის გამოყენება. ამასთან, განმარტავს, რომ მისთვის მიწოდებული ინფორმაციით იმ შემთხვევაში, თუკი იარსებებს ზემოთ აღნიშნული საჭიროება, კომერციული ბანკები გამოთქვამენ მზადყოფნას გააგრძელონ სესხების/კრედიტების გადავადება, ხოლო ეროვნული ბანკი გამოთქვამს მზაობას, რომ გადავადების პროცესში მოახდინოს კომერციული ბანკებისთვის ხელშეწყობა.

ეროვნული ბანკიდან მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, პანდემიის დაწყებიდან დღემდე არაერთმა ადამიანმა მიმართა ეროვნულ ბანკს შუამდგომლობით, რომ მომხდარიყო სესხების/კრედიტების რესტრუქტურირაცია ან/და ხელშეკრულების პირობების ცვლილება. 2020 წელს საქართველოს ეროვნულ ბანკში ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით დაფიქსირდა 3 034 მიმართვა, რაც დაახლოებით 123.4%-ით აღემატება 2019 წლის იმავე მონაცემებს. 2021 წლის აგვისტოსთვის მდგომარეობით, კი სესხების/კრედიტების რესტრუქტურირაცასთან ან/და ხელშეკრულების პირობების ცვლილებასთან დაკავშირებით, ეროვნულ ბანკში დაფიქსირებულია ჯამურად 845 მიმართვა.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული და მიწოდებული ინფორმაციისა, ჩვენთვის უცნობია, მოახდინა თუ არა ეროვნულმა ბანკმა რაიმე სახის რეაგირება მიმართვებზე და რეაგირების შემთხვევაში, დადგა თუ არა რაიმე პოზიტიური შედეგი მსესხებელთათვის.

პროექტის -

“მსოფლიო პანდემიის COVID19-ის გავრცელების გამო შემოსავლის გარეშე ან/და მკვეთრად შემცირებული შემოსავლით დარჩენილ ფიზიკურ პირთა სამართლებრივი დახმარება/ადვოკატირება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართ შეუსრულებელი ვალდებულებების გამო” შედეგები / სტატისტიკა

პროექტი „მსოფლიო პანდემიის COVID19-ის გავრცელების გამო შემოსავლის გარეშე ან/და მკვეთრად შემცირებული შემოსავლით დარჩენილ ფიზიკურ პირთა სამართლებრივი დახმარება/ადვოკატირება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართ შეუსრულებელი ვალდებულებების გამო“ მიმდინარეობდა პირველ ეტაპზე საინიციატივო ჯგუფ „დააპაუზე უფასოდ“-ის მიერ, ღია საზოგადოების ფონდი საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით. პროექტი დაიწყო კონკრეტულად პანდემიის პირველივე ტალღის ფარგლებში 2020 წლის მაისიდან და გაგრძელდა 2020 წლის ნოემბრამდე.

2020 წლის მარტიდან, პანდემიის გავრცელებისთანავე, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეექმნათ პრობლემები საბანკო დაწესებულებებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მხრიდან. საკრედიტო ორგანიზაციები აქტიურად ცდილობდნენ ვადამოსული გადაუხდელი ვალდებულებების ამოღებას, სასამართლოში საქმეების გადაგზავნას. მოქალაქეები აქტიურად გვიკავშირდებოდნენ და ითხოვდნენ დახმარებას, რომ სამსახურის დაკარგვის ან შემცირებული შემოსავლის გამო ვერ ახერხებდნენ ვადამოსული საბანკო/მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულებას. იურიდიული კონსულტაციების გაწევის და სამართლებრივი წერილების მომზადების ფარგლებში საინიციატივო ჯგუფის მიერ მომზადდა ჯამურად 162 წერილი 2020 წლის მაისიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით. აღნიშნული წერილებიდან 65 მიემართებოდა მიკროსაფინანსო და სხვა საკრედიტო ორგანიზაციებს, ხოლო 97 საბანკო სექტორს. კონსულტაცია გაეწია 635 პირს, მათ შორის გახლდათ 416 ქალი და

219 კაცი. გაწეულ იქნა სატელეფონო 535, ხოლო ონლაინ 100 კონსულტაცია. წარმატებით დასრულდა ჩვენთვის ცნობილი 22 საქმე, აქედან 5 გახლდათ მიკროსაფინანსო თუ სხვა სახის სესხის გამცემი ორგანიზაცია, ხოლო დანარჩენი 17 საბანკო ორგანიზაცია.

2021 წლის აპრილის თვიდან 2021 წლის სექტემბრის ჩათვლით ააიპ სამართლებრივი კვლევის, სწავლებისა და დახმარების ცენტრის მიერ ღია საზოგადოების ფონდი საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით პროექტის „მსოფლიო პანდემიის COVID19 -ის გავრცელების გამო შემოსავლის გარეშე ან/და მკვეთრად შემცირებული შემოსავლით დარჩენილ ფიზიკურ პირთა სამართლებრივი დახმარება/ადვოკატირება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართ შეუსრულებელი ვალდებულებების გამო“ განხორციელებისას ჯამურად გაწეულ იქნა 487 იურიდიული კონსულტაცია, მათ შორის გახლდათ 278 ქალი და 209 კაცი. იურიდიული ჯგუფის მიერ გაიცა 260 პირადი, 225 სატელეფონო და 2 ონლაინ კონსულტაცია. პროექტის მიმდინარეობისას განხორციელდა 12 გასვლითი ვიზიტი, რომლის ფარგლებში თბილისში, გორსა და რუსთავში ჯამურად გაცემულ იქნა 120 პირადი კონსულტაცია. პროექტის განმავლობაში მომზადებულ იქნა 43 დოკუმენტი, აქედან 6 დოკუმენტი მომზადდა სასამართლოში საქმის წარმოებისთვის. 35 წერილი მიემართებოდა ბანკს, ხოლო 8 მიკროსაფინანსო ორგანიზაციას. აღნიშნული წერილებიდან წარმატებით ამ ეტაპზე დასრულებულია 9 საქმე, სადაც მომმართველებს დაუკმაყოფილდათ შემდეგი მოთხოვნები:

- შეთავაზებულ იქნა მოქალაქისთვის მისაღები გადახდის გრაფიკი;
- დაკორექტირდა გადასახდელი თანხის ოდენობა;
- ჩამოეწერათ ზედმეტად დარიცხული თანხები და სხვა;

საგულისხმოა, რომ ცხრავე წარმატებული საქმე უკავშირდებოდა საბანკო და არა მიკროსაფინანსო სექტორს.

ერთობლივად საინიციატივო ჯგუფის „დააპაუზე უფასოდ“ და ააიპ „სამართლებრივი კვლევის, სწავლებისა და დახმარების ცენტრის“ მიერ ღია საზოგადოების ფონდი საქართველოს ფინანსური მხადაჭერით განხორციელებულ პროექტების ფარგლებში თბილისის, რუსთავის და გორის მასშტაბით იურიდიული კონსულტაცია გაეწია 1122 პირს. მომზადდა 205 წერილი საბანკო/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიმართ. აღნიშნული მიმართვებიდან/საქმეებიდან მომმართველისათვის დადებითად დასრულდა 31 საქმე, 30 ერთეულ შემთხვევაში პასუხი არ იქნა გაცემული დაწესებულების მხრიდან, 60 ერთეულ შემთხვევაში ინფორმაციის მოპოვება ვერ განხორციელდა მომმართველებთან უკუკავშირის შეუძლებლობის გამო, ხოლო 84 შემთხვევა უარყოფითად იქნა დასრულებული.

პროექტის შედეგების შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მხრიდან უფრო ნაკლებად ხდებოდა მოქალაქეებთან შეთანხმება მათთვის სასურველ ან მისაღებ გრაფიკზე, ხშირ შემთხვევაში არც საურავების დაკისრებაზე ამბობდნენ უარს, სასამართლოს მიმართავდნენ შეუსრულებელი ვალდებულებების ამოსაღებად, მიუხედავად საქმეში არსებული მტკიცებულებებისა, რომ პირი გახლდათ უშუალოდ პანდემიის შედეგად შემოსავალდაკარგული. ცალკეული მიკროსაფინანსო ორგანიზაციები არ პასუხობდნენ მოქალაქეთა წერილობით მიმართვებს, ცალკეულ შემთხვევებში ხდებოდა მოქალაქეების სიტყვიერი იძულება, რომ გაუყიდდნენ ქონებას, დაუყადალებდნენ ანგარიშს სწორედ პანდემიის დროს, თუ არ მოახდენდნენ ვალდებულების შესრულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. აღმოჩნდა პასუხისმგებლობის მქონე რამდენიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომელთაც მეტნაკლებად გაითვალისწინეს პანდემიის გამო არსებული მძიმე ფინანსური მდგომარეობა და მოქალაქეებს განუსაზღვრეს კონკრეტული შეღავათები.

ე.წ მესამე ტალღის ფარგლებში მოქალაქეთა მომართვიანობა საკრედიტო დაწესებულებების მიმართ არსებული პრობლემების ფარგლებში შემცირდა. მომართვა ძირითადად ეხებოდა საბანკო სექტორს. პროექტის საწყის ფაზაში, კერძოდ 2021 წლის მაისი-ივნისის პერიოდში წილობრივად სს „თიბისი ბანკის“ მიმართ არსებული პრობლემური სესხების შესახებ მომართვიანობა გახლდათ შედარებით დიდი, მაგ: 18 მომმართველიდან, რომელთაც სჭირდებოდათ დახმარება მიმდინარე ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით, ჩვენს მიერ შდგენილი 7 წერილი მიემართებოდა სს „თიბის ბანკს“, ხოლო დანარჩენი ნაწილდებოდა სხვა ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე, ხოლო პროექტის განხორციელების ბოლო ფაზაში გაიზარდა სს „ლიბერთი ბანკის“ მომხმარებელთა მომართვიანობა და ასევე სს „საქართველოს ბანკში“ არსებული პრობლემური სესხების გამო მომართვა. პროექტის მიმდინარეობის ბოლო პერიოდში მომმართველები ძირითადად გახლდათ სს „ლიბერთი ბანკის“ საპენსიო სესხების მომხმარებლები. კერძოდ 2021 წლის ივლისი-აგვისტოს პერიოდში მომმართველთაგან 9 პირს ჰქონდა სს „ლიბერთი ბანკის“ საპენსიო სესხის პრობლემა, ხოლო 8 პირს სს „საქართველოს ბანკის“ საშეღავათო პერიოდის გამო გაზრდილი სესხის ძირი თანხისა და საგადახდო პერიოდის პრობლემა. მხოლოდ სამ პირს ჰქონდა სს „თიბის ბანკთან“ გადავადების გამო შექმნილი პრობლემა.

გამომდინარე იქიდან, რომ პროექტის მთავარ მიზანს, წარმოადგენდა იმ ბენეფიციარებისთვის იურდიული მომსახურების გაწევა, რომელთაც საბანკო/საკრედიტო დაწესებულებებთან პანდემიის პირობებში შეექმნათ პრობლემები, ინტერესის ობიექტს წარმოადგენდა გამოგვერკვია, 2020 წლის მარტის თვიდან 2021 წლის აგვისტოს ჩათვლით რამდენი სარჩელი შევიდა სასამართლოში საბანკო/საკრედიტო დაწესებულებების მიერ ვალდებულების შესრულების მოთხოვნით ან/და რამდენ საქმეზე დაიწყო გამარტივებული წარმოება საქართველოს აღსრულების ეროვნულ ბიუროში. სწორედ ამ მიზნით, 2021 წლის სექტემბრის თვეში, განცხადებით მივმართეთ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

კოლეგიას სტატისტიკური საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს პასუხით ირკვევა, რომ მოთხოვნილი სახით ინფორმაციის, სტატისტიკური აღრიცხვა/დამუშავება და საჯარო მონაცემთა ბაზაში განთავსება, თბილისის საქალაქო სასამართლოში არ ხორციელდება. ამასთან, აღნიშნული სახის ინფორმაციის მოძიება და სათანადო წესით დამუშავება საჭიროებს დიდ დროსა და სასამართლოს რესურსს, რის გამოც სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს ჩვენი მოთხოვნა.

აღსრულების ეროვნული ბიუროს მხრიდანაც, ისევე, როგორც ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს შემთხვევაში, გვეცნობა, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოთხოვნილი სახით ინფორმაციის, სტატისტიკური აღრიცხვა/დამუშავება და საჯარო მონაცემთა ბაზაში განთავსება არ ხორციელდება. ამასთან, აღნიშნული სახის ინფორმაციის მოძიება და სათანადო წესით დამუშავება საჭიროებს დიდ დროსა და რესურსს, რის გამოც აღსრულების ეროვნული ბიურო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს ჩვენი მოთხოვნა.

საერთაშორისო გამოცდილება

საკმაოდ მრავალფეროვანია მსოფლიო ქვეყნების მიდგომა მსგავსი საკითხების რეგულირების კუთხით. სხვადასხვა ევროპულმა სახელმწიფოებმა, ასევე ამერიკის და აზიის ქვეყნებმა განსხვავებულად დაარეგულირეს პანდემიის პერიოდში ვადამოსული სასესხო ვალდებულებების შესრულების გადავადების საკითხი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანამ უფრო მეტად გაითვალისწინა მსესხებელთა ფინანსური მდგომარეობა, ვიდრე ეს მოხდა საქართველოში.

ამერიკის შეერთებული შტატები - ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კონკრეტული შტატების შესაბამისად იმოქმედეს: მაგალითად ბაიდენის ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ სტუდენტური სესხების გადახდა შეჩერდებოდა 2022 წლის 31 იანვრამდე. მსესხებლებს გადასახადები ავტომატურად შეუჩერდებოდათ ჯარიმისა და პროცენტის დარიცხვის გარეშე. ამასთან თუ აღნიშნული პერიოდი არ იქნებოდა საკმარისი, შესაძლებელი იქნებოდა კონკრეტულად მიემართათ ახალი შეღავათების მისაღებად. გადახდის შეჩერების დროს პროცენტის დარიცხვა არ ხდებოდა. აღნიშნული ე.წ ამნისტიის აქტს ამერიკის პრეზიდენტმა საკანონმდებლო სახე მისცა 2021 წლის 11 მარტს.¹² **დიდი ბრიტანეთი** - დიდ ბრიტანეთში სხვადასხვა სახის შეღავათები იქნა დაწესებული მსესხებლების მიმართ. მსესხებელთა უმრავლესობამ დიდ ბრიტანეთში შეძლო ესარგებლა ე.წ უფასო, დროებითი გადავადებით ყოველგვარი საფასურის გარეშე, 3 თვემდე. მნიშვნელოვანია, რომ იპოთეკურ სესხებთან დაკავშირებით გამსესხებლებისთვის დაწესდა ასევე კონკრეტული უფასო გადავადებები. რამდენიმე საკრედიტო დაწესებულებამ განაცხადა, რომ აღნიშნული გადავადება არანაირ გავლენას არ მოახდენდა პირთა საკრედიტო ისტორიაზე. შოტლანდიის ბანკმა მომხმარებლებს შესთავაზა ე.წ გადახდის

¹² <https://www.nolo.com/legal-encyclopedia/how-to-manage-your-federal-student-loans-during-the-coronavirus-outbreak.html>

არდადეგები იპოთეკურ სესხებსა და სესხებზე, რათა დახმარებოდნენ ადამიანებს მეტი ფულის დაზოგვაში პანდემიის დროს. ბანკმა ჰალიფაქსი შემოიღო გადახდის არდადეგები იპოთეკურ სესხებზე და სესხებზე. HSBC ბანკში მომხმარებლებს შეეძლოთ აერჩიათ იპოთეკური სესხის გადახდის შევზღუდვა, ასევე შეეძლოთ იპოთეკური სესხის დარჩენილი ვადის გაგრძელება, შეეცვალოთ საპროცენტო განაკვეთები ნაწილობრივად ან მთლიანად. ლოიდის ბანკმა შემოიღო იგივე ზომები, რაც ჰალიფაქსმა და შოტლანდიის ბანკმა. TSB- ის ბანკის მომხმარებლებმა მიიღეს სავალდებულო 3-თვიანი შევზღუდვა იპოთეკურ სესხებზე, ხოლო პირადი სესხის მომხმარებლებს შეეძლოთ მოეთხოვათ გადავადება. საკრედიტო ბარათის მომხმარებლებს შეეძლოთ საკრედიტო ლიმიტი გაეზარდათ. ასევე ანაბარზე დანაზოგის არსებობის შემთხვევაში შეეძლოთ ესარგებლათ და ანაბრის/დანაზოგის ვადამდე გატანის საფასური არ ჩამოეჭრებოდათ.¹³

ესპანეთი - ესპანეთში თვითდასაქმებულ პირებს, რომლებიც დაზარალდნენ COVID19-ის შედეგად სესხის თანხის გადახდა გადაუვადდათ.

ნიდერლანდები - მსესხებლების მიმართ სესხის ძირისა და პროცენტის გადავადება განხორციელდა 3 თვიდან 6 თვემდე ვადით.¹⁴

პოლონეთი - COVID19-ის შედეგად დაზარალებულ თვითდასაქმებულ პირებს გადაუვადდათ სამომხმარებლო სესხის გადახდა.

მონღოლეთი - პროცენტისა და ძირის გადახდა 12 თვით გადავადდა.

მაროკოს რესპუბლიკამ საშუალება მისცა მომხმარებლებს, კონკრეტულად კი თვითდასაქმებულებს, რომ საჭიროების შემთხვევაში აეღოთ 1 წლიანი უპროცენტო სესხი.¹⁵

¹³ https://www.payplan.com/debt-info/debt-and-your-health/coronavirus-financial-help-for-employees/?fbclid=IwAR1rxKHmJ7ErpdhI00_IINxyA9_R8pEhJCGoMZeQObo9go1dPbVcKF2XaPg

¹⁴ <http://bit.ly/3dkUZ2l>

¹⁵ <https://www.imf.org/en/Topics/imf-and-covid19/Policy-Responses-to-COVID-19>

დასკვნა

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში სასესხო/საკრედიტო ვალდებულებებთან დაკავშირებით კოვიდ პანდემიით გამოწვეული სირთულეების დასაძლევად ერთის მხრივ არ/ვერ იქნა დაწესებული რეალური შეღავათები, რომელიც საშუალებას მისცემდა მსესხებელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შემოსავლების დაკარგვის ან შემცირების პირობებში უმტკივნეულოდ მოეხდინათ ვადამოსული ვალდებულებების გადავადება და ზედმეტი ფინანსური ტვირთის გარეშე განეახლებინათ გადახდები, ხოლო მეორეს მხრივ დაწესებული შეღავათებით სარგებლობის აღსრულება აღმოჩნდა ხარვეზული.

მნიშვნელოვანია საკითხის მიმართ სისტემური მიდგომა, რომლის ფარგლებშიც რეკომენდირებულია განხორციელდეს:

- რეალური შემთხვევების აღრიცხვა/ანალიზი;
- სხვადასხვა კატეგორიის სესხების, მათ შორის სეზონური ბიზნესებისათვის გაცემული და პანდემიის მიზეზით გაპრობლემებული სესხების/კრედიტების აღრიცხვა/ანალიზი;
- ერთგვაროვანი პრობლემების დაჯგუფება და პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღება;
- საკანონმდებლო დონეზე ერთჯერადი აქტის მიღება, რომლის ფარგლებშიც მოხდება პანდემიის მიზეზით გაპრობლემებულ სესხებზე/კრედიტებზე დარიცხული საურავი/ჯარიმა/პირგასამტეხლოს გაუქმება;
- ეროვნულმა ბანკმა განახორციელოს საშეღავათო პირობებით სარგებლობისას ბანკების/მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მოქმედებების მონიტორინგი და ეფექტური კონტროლი;
- სასამართლოებმა და აღსრულების ეროვნულმა ბიურომ მოახდინონ სესხებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების დამუშავება.

Loan/credit relations during the Covid-19 pandemic

Research

The research prepared by:

Eka Lomidze

Marika Arevadze

Sopio Gonashvili

Translated by: Khatuna Gvelesiani

The research prepared by the non-governmental organization
Legal Research, Training and Assistance Center

Published with the financial support of the Open Society Foundation.
The opinion expressed by the author/authors in the information material may not
reflect the position of the Foundation. Accordingly, the Foundation shall not be
held responsible for the content of the material.



October, 2021
Tbilisi Georgia

Introduction

